პრეზიდენტ
ჰენრი ბ. აირინგის მიერ
პირველი პრეზიდენტობის
პირველი მრჩეველი



სამართლიანობით შეიარაღებულნი

ღვთის წინასწარმეტყველმა დედამიწაზე, პრეზიდენტმა თომას ს. მონსონმა, განაცხადა: „დღეს ჩვენ აღვუდექით ყველაზე დიდ ცოდვის, ნაკლოვანებისა და ბოროტების ჯარს, რომელიც ოდესმე უნახავს ჩვენს თვალებს“.[1]

გაგიკვირდებათ, რომ გითხრათ, რომ პრეზიდენტმა მონსონმა ეს სიტყვები წარმოსთქვა 50 წლის წინ? თუკი მაშინ აღვუდექით ურჯულოების უპრეცედენტო ჯარს, რაოდენ მეტად გვიტევს დღეს ბოროტება? კარგი მიზეზის გამო უფალმა განაცხადა ჩვენი წყობის შესახებ: „აჰა, მტერი ერთად შეიკრა“ (მოძღვრება და აღთქმები 38:12).

ომი, რომელშიც ყველანი „ჩაწერილები ვართ სიაში“[2] დაიწყო, სანამ დედამიწას მოვევლინებოდით. იგი დაიწყო დედამიწის შექმნამდეც კი. იგი დაიწყო მრავალი ათასწლეულის წინ, წინამიწიერ სამყაროში, სადაც სატანა აჯანყდა და „ცდილობდა ადამიანის არჩევანის განადგურებას“ (მოსე 4:3).

სატანამ წააგო ეს ბრძოლა და „ჩამოგდებულ იქნა დედამიწაზე“ (გამოცხადება 12:9), სადაც იგი დღესაც აგრძელებს ბრძოლას. აქ, დედამიწაზე „იგი ებრძვის ღვთის წმინდანებს და გარს ერთყმის მათ“ (მოძღვრება და აღთქმები 76:29) სიცრუით, მოტყუებითა და ცდუნებით.

იგი ებრძვის წინასწარმეტყველებს და მოციქულებს. იგი ებრძვის უმანკოების კანონს და ოჯახის სიწმინდეს. იგი ებრძვის ოჯახებსა და ტაძარს. იგი ებრძვის ყოველივე კეთილს და წმინდას.

ჩვენ როგორ ვებრძვით ასეთ მტერს? როგორ ვებრძვით ბოროტს, რომელიც შთანთქავს ჩვენს სამყაროს? რა იარაღი გვაქვს? ვინ არის ჩვენი მოკავშირე?

კრავის ძალა

წინასწარმეტყველი ჯოზეფ სმითი გვასწავლიდა, რომ სატანას აქვს ჩვენზედ ძალა იმ დონემდე, რა დონემდეც ჩვენ მას ნებას ვრთავთ.[3]

ნეფიმ იხილა ჩვენი დრო: „მე, ნეფიმ, ვიხილე ღვთის კრავის ძალა, რომელიც ჩამოდიოდა წმინდანებზე კრავის ეკლესიაში, ასევე უფლის აღთქმულ ხალხზედ , რომელიც გაფანტული იყო მთელ დედამიწის პირზე; და *ისინი შეიარაღებულნი იყვნენ სამართლიანობითა და ღვთის ძალით მის დიად დიდებაში* (1 ნეფი 14:14).

როგორ შევიარაღდეთ სამართლიანობითა და ძალით? ჩვენ ვიცავთ შაბათის სიწმინდეს და პატივს ვცემთ მღვდლობას. ჩვენ ვდებთ და ვიცავთ წმინდა აღთმებს, ვმუშაობთ ოჯახურ ისტორიაზე და დავდივართ ტაძარში. ჩვენ გამუდმებით ვცდილობთ მოვინანიოთ და ვევედრებით უფალს, „გამოვიყენოთ ქრისტეს გამოსყიდვის სისხლი, რათა მივიღოთ ჩვენი ცოდვების მიტევება“ (მოსია 4:2). ჩვენ ვლოცულობთ, ვმსახურობთ,

ვმოწმობთ და ვამჟღავნებთ რწმენას იესო ქრისტეს მიმართ.

ჩვენ ასევე ვიარაღდებით სამართლიანობითა და ძალით, როცა „გამუდმებით ვიუნჯებთ გონებაში სიცოცხლის სიტყვებს“ (მოძღვრება და აღთქმები 84:85). ჩვენ ვიუნჯებთ ამ სიტყვებს წმინდა წერილში და უფლის რჩეული მსახურების სიტყვებში ჩაძირვით, რომლებიც გვიზიარებენ უფლის ნებას, გონებასა და ხმას (იხ. მოძღვრება და აღთქმები 68:4) მომდევნო თვის გენერალურ კონფერენციაზე.

ჩვენს ბრძოლაში ბოროტების წინააღმდეგ, ჩვენ უნდა ყოველთვის გვახსოვდეს, რომ საბურველის ორივე მხრიდან გვაქვს დახმარება. ჩვენი მოკავშირეებია მარადიული მამა ღმერთი, უფალი იესო ქრისტე და სულიწმინდა.

ჩვენი მოკავშირეები ასევე უხილავი ზეციური მხედრობაა. „ნუ გეშინია“, - უთხრა ელიამ შეშინებულ ახალგაზრდას, რომელიც ბოროტი ძალების ჯარის წინაშე აღმოჩნდა რადგან “ჩვენ უფრო ბევრი გვყავს, ვიდრე მათ” (იხ. 4 მეფეთა 6:15-16).

ჩვენ არ უნდა გვეშინოდეს. ღმერთს უყვარს თავისი წმინდანები. იგი არასდროს არ მიგვატოვებს.

მე ვიცი, რომ ღმერთმა, პასუხად ჩემს ლოცვაზე, აღასრულა ჩემი ვედრება - მიხსნას ბოროტისგან. მე ვმოწმობ, რომ სამყაროს მხსნელის, მამა ღმერთისა და სულიწმინდის დახმარებით ჩვენ შეგვიძლია დარწმუნებულები ვიყოთ იმაში, რომ საჭიროზე მეტი ძალა მოგვეცემა იმისთვის, რომ წინ აღვუდგეთ ნებისმიერ ბოროტ ძალას.

დაე, ყოველთვის ვიყოთ შეიარაღებულნი სამართლიანობით, რათა დარწმუნებულები ვიყოთ საბოლოო გამარჯვებაში.

შენიშვნები

1. თომას ს. მონსონი, “Correlation Brings Blessings,” Relief Society Magazine, Apr. 1967, 247.
2. “We Are All Enlisted,” Hymns no. 250.
3. იხილეთ Teachings of Presidents of the Church: Joseph Smith (2007), 214.

ამ მოწოდების სწავლება

პრეზიდენტი აირინგი გვახსენებს, რომ ჩვენ ბოროტის წინააღმდეგ ომს ვაწარმოებთ. შეგიძლიათ დაიწყოთ შეხვედრა მათთან, ვისთანაც სტუმრობთ, ჰიმნით “We Are All Enlisted” (*ჰიმნები,* გვ.250) შემდეგ, შეგიძლიათ სთხოვოთ მათ, გაგიზიარონ, როგორ დაიცვა ისინი სამართლიანობამ და განიხილოთ სატანისგან მათი ოჯახების დაცვის ხერხები, როგორიცაა: ჯანსაღი მედია, ოჯახური თათბირი ან ყოველკვირეული ოჯახური საღამო. შეგიძლიათ გამოიწვიოთ ისინი, ლოცვით შეიტყონ, როგორ ააშენონ ოჯახის ირგვლივ ციხე-სიმაგრე და შეაგულიანოთ ისინი, შეადგინონ ამ იდეების განსახორციელებელი გეგმა.

ახალგაზრდები

მე უკვე მივიღე გადაწყვეტილება

მედისონ ტომფსონის მიერ

მე ერთხელ მივიღე ძვირფასი გაკვეთილი სქესობრივ სიწმინდეზე ახალგაზრდა ქალების კლასში. ამ სათაურის გამო მრავალი ახალგაზრდა ცმუკავს სკამებზე. მე არ მახსოვს ყველაფერი, რაც იმ დღეს ვისწავლე, მაგრამ მახსოვს, რომ ჩვენი ხელმძღვანელი საუბრობდა თავის ერთ-ერთ პირად სტანდარტზე - ყოველთვის იყო სქესობრივად წმინდა. მისი სიტყვები დამამახსოვრდა და გადავწყიტე, გავხადო ეს სტანდარტი ჩემს პირად ფასეულობად.

ერთხელ, როცა სპორტული აქტივობიდან სახლში ავტობუსით ვბრუნდებოდი, ვიღაცამ დაიწყო თამაში სიმართლე თუ გამბედაობა“? რადგან მოწყენილები ვიყავით, მე და სხვა ბავშვები ჩავებით ამ თამაშში. როცა ჩემი ჯერი დადგა, უნდოდათ გამებედა ისეთი რაღაცის გაკეთება, რაც ვიცოდი, არ იყო კარგი. ეს იქნებოდა ჩემთვის ძნელად მისაღები გადაწყვეტილება, რომ არა ჩემი ახალგაზრდა ქალების ხელმძღვანელის სიტყვები, რომლებიც გონებაში ამომიტივტივდა და ამიტომ გადაწყვეტილების მიღება ადვილი იყო. მე უცებ უარი ვთქვი ამის გაკეთებაზე. უკვე ვიცოდი, რას მოვიმოქმედებდი ამ სიტუაციაში.

მე ვიცი, რომ როცა ეკლესიაში მივდივართ და ვცხოვრობთ იმის თანახმად, რასაც ვსწავლობთ, ჩვენ მივიღებთ დალოცვას უფრო დიდი სულიერი ძალითა და ამა ქვეყნის ცდუნებებისგან დაცვით.

ავტორი ცხოვრობს იუტაში, აშშ.

ბავშვები

შეიარაღდით

ღღეს მსოფლიოში უამრავი ცუდი რამ ხდება. სახარება ფარივით გვიცავს. წაიკითხეთ 10 რამ, რისი შესრულებაც, პრეზიდენტი აირინგის თქმით, დაგვიცავს. შემდეგ დახატეთ და გააფერადეთ საკუთარი ფარი!

1. დაიცავით შაბათის სიწმინდე.
2. პატივი ეცით მღვდლობას
3. დადეთ და დაიცავით აღთქმები
4. იმუშავეთ ოჯახურ ისტორიაზე
5. იარეთ ტაძარში
6. მოინანიეთ
7. ილოცეთ
8. ემსახურეთ სხვებს
9. გაუზიარეთ დამოწმებები
10. წაიკითხეთ წმინდა წერილი.

© 2017 by Intellectual Reserve, Inc. ყველა უფლება დაცულია. დაბეჭდილია გერმანიაში. ინგლისურად დამტკიცებულია: 6/16. თარგმანი დამტკიცებულია: 6/16. თარგმანი *First Presidency Message, March 2017.* Georgian. 97923 131

იესო ქრისტეს შესაძლებლობების მომცემი ძალა და მისი გამოსყიდვა

ლოცვისეული განწყობით შეისწავლეთ ეს მასალა და ეძიეთ გაიგოთ, რა უნდა გაუზიაროთ სხვებს. როგორ მოამზადებს მოწყალების საზოგადოების მიზნის გააზრება ღვთის ასულთ მარადიული ცხოვრების დალოცვებისთვის?

რწმენა, ოჯახი, მოწყალება

"ყოველივე ძალმიძს ჩემს განმტკიცებელში, ქრისტეში" (ფილიპელთა 4:13). „მიუხედავად იმისა, რომ ყველას გვაქვს სისუსტეები, ჩვენ შეგვიძლია დავძლიოთ ისინი", - ბრძანა პირველი პრეზიდენტობის მეორე მრჩეველმა, დიტერ ფ. უხთდორფმა. „ჭეშმარიტად, ღმერთის მადლით, თუკი თავს დავიმდაბლებთ და ვიქონიებთ რწმენას, რაც სუსტია - ძლიერი გახდება".[1]

მხსნელი გვეუბნება მოძღვრება და აღთქმებში: ვივლი შენ წინ. მე ვიქნები შენს მარჯვენა და მარცხენა მხარეს და ჩემი სული იქნება თქვენს გულებში, ჩემი ანგელოზები იქნებიან შენს თავს გარშემორყმულნი, რათა მხარში ამოგიდგნენ" (მოძღვრება და აღთქმები 84:88).

„ნეფი არის მაგალითი იმისა, ვინც იცოდა, ვისაც ესმოდა და ვინც ეყრდნობოდა მხსნელის შესაძლებლობების მომცემ ძალას", - ამბობს უხუცესი დევიდ ა. ბედნარი თორმეტ მოციქულთა ქვორუმიდან. „ნეფის ძმებმა შებოჭეს იგი თოკებით და გადაწყვიტეს მისი განადგურება. ყურადღება მიაქციეთ ნეფის ლოცვას: 'ო, ღმერთო, ჩემი რწმენის შესაბამისად, რომელიც შენშია, გამომიხსენი ჩემი ძმების ხელიდან; დიახ, *მომეცი ძალა, რომ გავწყვიტო ეს თოკები* რომელბითაც ვარ შებოჭილი' (1 ნეფი 7:17).

". . . ნეფიმ არ ილოცა ვითარების შესაცვლელად. იგი უფრო ლოცულობდა ძალისთვის, რომელიც მის ვითარებას შეცვლიდა. და მე მწამს, რომ იგი ლოცულობდა ამ ხერხით ზუსტად იმიტომ, რომ იცოდა, ესმოდა და გამოუცდია გამოსყიდვის შესაძლებლების მომცემი ძალა.

„მე არ ვფიქრობ, რომ თოკები, რომლებითაც ნეფი იყო შებოჭილი, ჯადოსნურად ჩამოცვივდა მისი ხელებიდან და მაჯებიდან. მე უფრო ვფიქრობ, რომ იგი დალოცვილი იყო როგორც შეუპოვრობით, ისე პირადი ძალით, რაც აღემატებოდა მის ბუნებრივ შესაძლებლობებს, რათა მას შემდგომ შეძლებოდა „უფლის ძალაში' (მოსია 9:17) თოკების დაგრეხვა, გაწევ-გამოწევა და საბოლოო ჯამში მათი გაწყვეტა".[2]

დამატებითი მასალები წმინდა წერილიდან და ინფორმაცია

ესაია 41:10; ეთერი 12:27; *reliefsociety.lds.org*

შენიშვნები

1. დიტერ ფ. უხტდორფი, "The Gift of Grace," *Liahona,* მაისი 2015, 108.
2. დევიდ ა. ბედნარი, "Strength beyond Our Own," *New Era,* Mar. 2015, 4.

განიხილეთ შემდეგი

როგორ შეუძლია იესო ქრისტეს შესაძლებლობების მომცემ ძალას და მის გამოსყიდვის ძალას დაგვეხმაროს სისუსტეების სიძლიერედ გადაქცევაში?

© 2017 by Intellectual Reserve, Inc. ყველა უფლება დაცულია. დაბეჭდილია გერმანიაში. ინგლისურად დამტკიცებულია: 6/16. თარგმანი დამტკიცებულია: 6/16. თარგმანი *Visiting Teaching Message, March 2017.* Georgian. 97923 131